

499.962-1

გ - 31

საქართველოს მცენიერებათა აკადემია
არნ. ნიქოგავას სახელობის მნათმცენიერების ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ხვთისოს ასული ზარიძე

ტრანსლიტერაციის წესები და კოლინ-
ირბასის „ქართული და იტალიური
ლექსიკონი“ (რომი, 1629 წელი)

10.02.01 - ქართველური ენები

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მცენიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაკრებლად

თბილისი
1999

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თ. უთურგაიძე

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ა. ჭინჭარაული

ოფიციალური ოპონენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გ. იმნაიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ლ. ქაროხანიძე

წამყვანი ორგანიზაცია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1999 წლის 18 მაისს, 12 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის p.10.02 c №4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (მისამართი 380008, თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №8).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 17 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლ. მეცნ. დოქტორი
თ. ვაშაყიძე

თემის აქტუალობა. 1629 წლის ზაფხულში ქ. რომში გამოცემული „ქართული და იტალიური ლექსიკონი“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს კათოლიკე მისონერების მიერ შექმნილ სხვა ლექსიკონებსა და გრამატიკებს. მათზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყოველი წინა ნაშრომი მომდევნოს საფუძველია. ავტორთა გამოცდილებისა და ცოდნის ზრდასთან ერთად ისინიც იხვეწება და რთულდება. თავის მხრივ, იტალიელთა ნააზრევიც წინ უძღვის სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ პირველის ლექსიკოგრაფიულ და გრამატიკულ ნაშრომებს. ცნობილია, რომ ორივე მეცნიერი კარგად იცნობდა ამ წიგნებს და ხშირ შემთხვევაში ემყარებოდა კიდევ მათ. აქედან გამომდინარე, საერთოდ იტალიელ მისიონერთა შემკვიდრების და მათ შორის 1629 წლის „ქართული და იტალიური ლექსიკონის“ შესწავლა საინტერესოდ გვეჩვენება.

კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი და ობიექტი. კვლევის მიზანია „ქართული და იტალიური ლექსიკონის“ ქართული ნაწილის დამახინჯებულ ფორმათა შეძლებისდაგვარად გამართვა, ასევე შეცდომათა ტიპების გამოყოფა და მათ გამომწვევ მიზეზთა დადგენა.

ძირითადი შედეგები. სხვადასხვა მეცნიერთა ნააზრევის გათვალისწინებითა და ჩვენთვის მისაღებ თვალსაზრისთა შეჯერებით, ასევე ზოგჯერ საკუთარი დაკვირვების საფუძველზეც, გამოიყო შეცდომათა გამომწვევი მიზეზების ტიპები, გაიმართა ლექსიკონის დიდი ნაწილი (დაახლოებით 86%).

კვლევის შედეგები, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ქართული ენათმეცნიერების ისტორიის, კონკრეტულად, იტალიელ მისონერთა მოღვაწეობის შემსწავლელთათვის.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომი შესრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში. აქვე შედგა მისი განხილვა და აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია სამ გამოქვეყნებულ სტატიაში.

მეცნიერული სიახლეები. ცნობილია, რომ სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართული და იტალიური ლექსიკონის“ ქართული ნაწილი საგსეა შეცდომებით. აქ გამართულად წარმოადგენილია ლექსემათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 15% (3117 ლექსემიდან 452 სიტყვა). ნაშრომში პირველად

— 5041 —

